

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 02.11.2020 წლის №064/19¹
გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ნათია ადუაშვილი (სტუდენტი)

ფაქტები

მომჩივანი ადვოკატს შეუთანხმდა საადვოკატო მომსახურებაზე, რისთვისაც გაუფორმა მინდობილობა და წერილობითი ხელშეკრულებაც. მომჩივანმა ადვოკატს გადასცა 2700 ევრო, რაზეც ადვოკატმა განუმარტა, რომ 700 ევრო წარმოადგენდა მომსახურების თანხას, 2000 კი სახელმწიფო ბაჟის ოდენობას. ადვოკატმა ხელშეკრულებაში ერთიანი სახით მიუთითა 2700 ევრო ისე, რომ ამ თანხიდან არ გამოიჯნა ჰონორარისთვის და საქმისწარმოების გათვალისწინებული ხარჯები. ადვოკატისთვის ცნობილი იყო, რომ ხარჯის დიდი ნაწილი - 3000 ლარი, საჭირო იყო სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად, თუმცა არც ეს თანხა გამოყო ცალკე სახით. ამასთან, ხელშეკრულებაში მითითებული იყო ჰონორარი მხოლოდ სამოქალაქო საქმის წარმოებისთვის, თუმცა ეს ჰონორარი ასევე მოიცავდა სისხლის სამართლის საქმეში წარმომადგენლობასაც. თავის მხრივ, ადვოკატი არ დაეთანხმა საჩივრის ავტორის პოზიციას და განმარტა, რომ გადაცემული თანხიდან 1000 ლარი წარმოადგენდა მომსახურების თანხას, 3000 ლარი კი გადაიხადა სახელმწიფო ბაჟისთვის. ასევე, გამოწერა ორი ორდერი სისხლის სამართლის საქმის წარმოების მიზნით. თითოეული ორდერისთვის გათვალისწინებული იყო 500 ლარი, დარჩენილი თანხა, რაც დაახლოებით 400 ლარს შეადგენდა, წარმოადგენდა ტექნიკურ ხარჯებს.

პროცესუალური ისტორია

მომჩივანმა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა და მოითხოვა ადვოკატის დისციპლინირება.

სამართლებრივი შეფასება

შესაფასებელია ადვოკატმა დაარღვია თუ არა ჰონორარის ოდენობის, მისი გაანგარიშების წესისა და მოსალოდნელი ხარჯების შესახებ კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება. *ადვოკატი ვალდებულია კლიენტს დროულად მიაწოდოს ინფორმაცია მისი ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულების თაობაზე, რაც დაკავშირებულია საქმის წარმოებასთან, ამასთან ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის (ადვოკატთა შესახებ კანონის მუხლი 6.2; ეთიკის კოდექსის მუხლის 8.6 და 8.8).* მოსალოდნელი ხარჯების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ადვოკატს აკისრია საქმის დაწყებამდე, რათა კლიენტს მიეცეს შესაძლებლობა სრულყოფილი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება მისი საქმის წარმოების შესახებ. კლიენტისათვის თავიდანვე უნდა იყოს ცნობილი, რომ გარდა ადვოკატის მომსახურების საფასურისა, კონკრეტული საქმის წარმოება მოითხოვს გარკვეულ ხარჯებს (სახელმწიფო ბაჟს, სანოტარო, სათარჯიმნო, საექსპერტო, სამეზავრო, ტექნიკურ და სხვა ხარჯებს), რომელიც კლიენტმა უნდა გაიღოს. მართალია ადვოკატი წინასწარ, სიზუსტით ვერ გათვლის რა თანხა იქნება ეს, თუმცა მიახლოებითი ოდენობა უნდა განსაზღვროს და მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია მოსალოდნელი ხარჯების შესახებ. კლიენტის ინფორმირების ვალდებულება ემსახურება კლიენტის ინტერესებს - სრულყოფილად იყოს ჩართული საქმის მიმდინარეობის პროცესში და მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები. ხელშეკრულებით გათვალისწინებული

¹ <https://gba.ge/pdf/620e4fc57543d.pdf/064.19,%20kerdzo%20sarekomendacio,%2002.11.20.pdf>

მომსახურება მოიცავდა სამოქალაქო საქმეში წარმომადგენლობას. მიუხედავად ამისა, ადვოკატის განმარტებით, ხელშეკრულებაში მითითებული თანხა, ასევე მოიცავდა სისხლის სამართლის საქმეში წარმომადგენლობას, რაც ეწინააღმდეგება წერილობით განსაზღვრულ პირობებს. ადვოკატს სამოქალაქო საქმის წარმოების მიზნით შედგენილ ხელშეკრულებაში აღრეული აქვს სისხლის სამართლის საქმეზე მომსახურების ჰონორარი, რაზეც არ მოხდა კლიენტის სათანადო ინფორმირება ჰონორარის გამოთვლის წესის შესახებ. ამასთან, ხელშეკრულებაში ერთმანეთისგან არ არის გამიჯნული ადვოკატის ჰონორარი და საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობა. რაც შეეხება უცხოურ ვალუტაში ჰონორარის განსაზღვრას, ამ ნაწილში ადვოკატს არ დაურღვევია კანონიერების პრინციპი, რადგან ხელშეკრულების დადების მომენტში არ არსებობდა საქართველოში მომსახურების გაწევისათვის ფასის ეროვნულ ვალუტაში განსაზღვრისა და ანგარიშსწორების მოთხოვნა. აქედან გამომდინარე ადვოკატმა დაარღვია ჰონორარის განსაზღვრის, ჰონორარის ოდენობის გამოთვლის წესისა და მოსალოდნელი ხარჯების შესახებ კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება. იმის გათვალისწინებით, რომ ადვოკატის მიერ დარღვეულია მხოლოდ ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, რასაც გავლენა არ მოუხდენია კლიენტის საქმის საბოლოო შედეგზე და ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომა არ არის მძიმე ხასიათის, ასევე ადვოკატს არ აქვს შეფარებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ფორმა სხვა საქმეზე, დისციპლინირების პროპორციულ ზომად განსაზღვრულ იქნა კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

დასკვნა

იქიდან გამომდინარე, რომ ადვოკატს სამოქალაქო საქმის წარმოების მიზნით შედგენილ ხელშეკრულებაში აღრეული აქვს სისხლის სამართლის საქმეზე მომსახურების ჰონორარი, რაზეც არ მოხდა კლიენტის სათანადო ინფორმირება ჰონორარის გამოთვლის წესის შესახებ. ამასთან, ხელშეკრულებაში ერთმანეთისგან არ არის გამიჯნული ადვოკატის ჰონორარი და საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობა, ადვოკატმა დაარღვია ჰონორარის განსაზღვრის, ჰონორარის ოდენობის გამოთვლის წესისა და მოსალოდნელი ხარჯების შესახებ კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება. ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის ხარისხის გათვალისწინებით, ადვოკატის დისციპლინირებისთვის პროპორციულ ზომად განისაზღვრა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.